პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) აცხადებს კონკურსს უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის შერჩევის მიზნით

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 06 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 12 იანვარი.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება **„უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორი“** წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა - 1;

უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე და ამ თანამდებობის მიმართ დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) უმაღლესი განათლების სპეციფიკის ცოდნა ან უმაღლესი განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება, (უპირატესობა მიენიჭება პირებს, რომელთაც აქვთ როგორც აკადემიური პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობის, ისე საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მართვაში მონაწილეობის გამოცდილება);

ა.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.დ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა -(საუბარი, კითხვა, წერა);

ა.ე) ინგლისური ენის კარგად ფლობა (საუბარი, კითხვა, წერა).

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს განათლების სფეროში მიმდინარე საერთაშორისო პროცესებს (და მარეგულირებელ დოკუმენტაციას), რომლებშიც ჩართულია საქართველო.

უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების მუშაობის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებათა უზრუნველყოფა;

ბ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების მუშაობის ორგანიზება, განსახილველი დოკუმენტების გასაჯაროობის უზრუნველყოფა;

გ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების წევრებთან კომუნიკაცია, მათ მიერ გაწეული სამუშაოს აღრიცხვა, დამუშავება და ანალიზი;

დ)უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების სხდომების ორგანიზება და საოქმო უზრუნველყოფა, საბჭოების შემადგენლობის შეფასების/შეცვლის/განახლების პროცესის კოორდინაცია;

ე) დაინტერესებული მხარეებისათვის ტრენინგებისა და კონსულტირების პროცესის უზრუნველყოფა;

ვ) უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების სამუშაო ჯგუფების ფორმირების და მათი მუშაობის კოორდინაცია.

კონკურსის შედეგად, უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან **გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვრება თვეში 1600 ლარის ოდენობით.

უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";
ბ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
გ) ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;
ე) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 01 სექტემბრის №716 ბრძანება - უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ.

უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:
ა) დაგეგმვისა და კოორდინაციის;
ბ) სწრაფი რეაგირების;
გ) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;
დ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;
ე) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;
ვ) მოლაპარაკების ეფექტურად წარმართვის;
ზ) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;
თ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.